საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL AFFAIRS OF GEORGIA

Legal Entity of Public Law

SOCIAL SERVICE AGENCY

KA030405071439315

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 047; 510 048; 510 049

№ 04/30873 **04 / მაისი / 2015 წ.**

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს
ქალბატონ თამარ ქალდანს
მის: თბილისი 0105, ინგოროყვას 7

ასლი: საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარეს ქალბატონ თამარ ჟვანიას

თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-13 კმ. 0131

ფოსტა
№ 573 2
06 / 05 2015

ქალბატონო თამარ,

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტომ 2014 წლის 12 მარტის წერილით, მოგმართათ თხოვნით, გაგეწიათ რეკომენდაცია, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის, არჩევნების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად ჩატარებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ხელმისაწვდომი საარჩევნო გარემოს შექმნის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაცემების (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) ელექტრონული ბაზების (დაბადების თარიღისა და პირადი ნომრის მითითებით) გადაცემის მიზანშეწონილობის თაობაზე.

თქვენი 2014 წლის 18 მარტის N40/01 წერილით მივიღეთ რეკომენდაცია, რომ აღნიშნული ინფორმაცია გაგვეცა მონაცემთა სუბიექტის რაიმე ფორმით იდენტიფიცირების შესაძლებლობის ცალსახა გამორიცხვით.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2015 წლის 14 აპრილის N14-07/594 წერილით, რომელიც ასევე წარმოდგენილია თქვენს სახელზე, ირკვევა, რომ სააგენტოს მიერ მიწოდებული სტატისტიკური ინფორმაციის გამოყენება დასახული მიზნებისათვის, ვერ მოხერხდა, რამდენადაც იგი არ იყო დამუშავებული საარჩევნო უბნებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა „ტიპების" (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) მიხედვით.

განსახილველი საკითხის მიზნებისათვის, სააგენტო აღნიშნავდა და ამჯერადაც გაცნობებთ, რომ ფლობს მხოლოდ იმ ბენეფიციართა მონაცემებს, რომლებსაც წარმოდგენილი აქვთ განაცხადი „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის" „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით" გათვალისწინებული კომპონენტებით (მ.შ. სავარძელ-ეტლებით უზრუნველყოფის, სმენის აპარატებით, კოხლეარული იმპლანტით, ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებით და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტები) სარგებლობის მოთხოვნით.

ამასთან, სააგენტო ამუშავებს აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსით სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა მონაცემებს, თუმცა მათი აღრიცხვა მოთხოვნილი საჭიროებების მიხედვით (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) არ ხდება, რამდენადაც კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფო გასაცემელზე უფლების მოპოვების მიზნებისათვის.

შესაბამისად, სააგენტოს მონაცემთა ბაზა მოიცავს მხოლოდ შესაბამისი სოციალური სერვისებით მოსარგებლეთა ინფორმაციას და მასში არ არის გაერთიანებული ქვეყნის მასშტაბით დამხმარე საშუალებების საჭიროების მქონე ან შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ყველა პირის შესახებ თუნდაც რაოდენობრივი ინფორმაცია.

სააგენტო მზად არის, დამატებით მიაწოდოს საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას კომპეტენციის ფარგლებში დამუშავებული და მასთან დაცული სტატისტიკური ინფორმაცია, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის საფუძვლით სოციალური პაკეტის მიმღები პირების შესახებ, საცხოვრებელი რაიონების მიხედვით, აგრეთვე, სააგენტოს მიერ შეთავაზებული დამხმარე საშუალებებით მოსარგებლეების შესახებ, საცხოვრებელი რაიონების და მიწოდებული დამხმარე საშუალებების ტიპების (ეტლით მოსარგებლე, სმენადაქვეითებული, უსინათლო) მიხედვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთხოვთ, დამატებით რეკომენდაციას ამ პირთა პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის ინფორმაციის (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მოთხოვნილი ფორმატით) გაცემის მი'ზანშეწონილობის საკითხ'ზე.

პატივისცემით,

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე

ზაზა სოფრომაძე